საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

## მარტი, 2020

# მოკლე შეჯამება

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის თებერვალში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა 2.2%
- წლიურმა ინფლაციამ მარტში შეადგინა 6.1%, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 3.7%
- თებერვალში ექსპორტი შემცირდა წლიურად 0.5 %-ით
- თებერვალში იმპორტი გაიზარდა წლიურად 8.4 %-ით
- 2020 წლის მარტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა 69.8 %-ით

## ეკონომიკური ზრდა

2020 წლის თებერვალში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 2.2 პროცენტი, ხოლო 2020 წლის იანვარ-თებერვლის საშუალო რეალური ზრდა 3.7 პროცენტით განისაზღვრა. 2019 წლის მშპ-ს გამოქვეყნების შედმეგ, ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 5.1%-ს. 2019 წელს ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია (+15.2%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (+14.4%), ხელოვნება, გართობა & დასვენება (+14.3%), ჯანდაცვა (+9.6%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (+8.9%), ვაჭრობა (+8.8%) და განათლება (+8.8%). ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: სახელმწიფო მმართველობა (-2.7%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (-2.1%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (-2.0%) და სოფლის მეურნეობა (-1.1%).

*დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა*




*წყარო: საქსტატი*

## ფასების დონე

2020 წლის მარტის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 6.1 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 3.7 პროცენტზე დაფიქსირდა. აქციზის განაკვეთის ცვლილების ეფექტი ასევე ასახული იქნება 2020 წლის ინფლაციაზე. თამბაქოს ფასის ცვლილების ეფექტი 2020 წლის მარტის ინფლაციაში 0.3 პუნქტს შეადგენს.

*დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2020 მარტი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+13.4%), სასტუმროებსა და რესტორნებზე (+8.9%). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა დასვენება და გართობის (-4.4%), ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის (-0.9%) კატეგორიებში.

ამავე დროს, 2020 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა 0.7 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიის ფასის მომატებამ (+2.0%) და ტრანსპორტზე (-0.8%) ფასების შემცირებამ.

*დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020 მარტი*




*წყარო: საქსტატი*

*დიაგრამა 4: ექსპორტის წლიური ცვლილება*




*წყარო: საქსტატი*

*დიაგრამა 5: იმპორტის წლიური ცვლილება*




*წყარო: საქსტატი*

*დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია*




*წყარო: საქსტატი*

## საგარეო ვაჭრობა

2020 წლის თებერვალში ექსპორტის წლიურად შემცირდა 0.5 პროცენტით და გაუტოლდა 263 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით და გაუტოლდა 702 მლნ აშშ დოლარს, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 14.5%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 438.9 მლნ აშშ დოლარს.

ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა. 2020 წლის თებერვალში ექსპორტის რეალურმა ზრდამ -3.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ მხოლოდ 8.6 პროცენტი.

2020 წლის თებერვალში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი და შუალედური საქონლის იმპორტი გაიზარდა 4.5 და 4.9 პროცენტით შესაბამისად. ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 0.9 პროცენტით.

2020 წლის თებერვალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქმა ავტომობილებმა 47.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 18.1 პროცენტი), მეორე ადგილზე - სპილენძის მადნები და კონცენტრატები 39.8 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 15.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 26.9 მლნ. აშშ დოლარით (10.2 პროცენტი). უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020 წლის თებერვალში შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯფუფმა, რომლის იმპორტმა 54.2 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.7 პროცენტი შეადგინა. ასევე მნშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობი და ნავთოპროდუქტები 54.1 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 7.7 პროცენტი) და სპილენძის მადნები და კონცენტრატები 51.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.4 პროცენტი).

2020 წლის თებერვალში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ აზერბაიჯანი (46.3 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 17.6%), რუსეთი (26.9 მლნ. აშშ დოლარი, 10.2%) და ბულგარეთი (26.8 მლნ. აშშ დოლარი, 10.2%). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (116.8 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი იმპორტის 16.4%), აზერბაიჯანი (76.9 მლნ. აშშ დოლარი, 10.9%) და ჩინეთი (67.1 მლნ. აშშ დოლარი, 9.6%).

## ტურიზმი

2020 წლის მარტში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 196 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის მარტთან შედარებით 67.3 პროცენტით ნაკლებია. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 69.8 პროცენტით შემცირდა და 73.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელებით გამოწვეული საზღვრების ჩაკეტვით და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტით საქართველოს ტერიტორიაზე მარტის მეორე ნახევარში. 2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შეფარდებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებთ. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

## ფულადი გზავნილები

2020 წლის თებერვალში წმინდა ფულადმა გზავნილებმა 115.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.3 პროცენტიან წლიურ ზრდას გულისხმობს. თებერვალში გზავნილები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იტალიიდან (3.8 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), უკრაინიდან (1.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), საბერძნეთიდან (1.9 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში) და აშშ-დან (1.5 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში). შემცირდა ფულადი გზავნილები რუსეთიდან და თურქეთიდან -14.3 და -19.9 პროცენტით შესაბამისად (-3.4 და -1.1 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში). 2019 წელს გზავნილები რუსეთიდან და თურქეთიდან შემცირდა 6.2 და 10.4 პროცენტით შესაბამისად, რამაც დაიკავა -1.8 და -0.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში. ამავე დროს, 2019 წელს, გაიზარდა გზავნილები პოლონეთიდან (70.5 % და 0.8 პროცენტიანი წვლილი), ყაზახეთიდან (65.4 % და 0.7 პროცენტიანი წვლილი), უკრაინინდან (49.1 % და 0.9 პროცენტიანი წვლილი), იტალიიდან (24 % და 2.9 პროცენტიანი წვლილი), გერმანიიდან (20.1 % და 0.5 პროცენტიანი წვლილი).

*დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმდიან, მლნ აშშ დოლარი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 8: ტოპ ქვეყნები, ტურიზმი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 9: წმინდა ფულადი გზავნილები*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

## გაცვლითი კურსი

*დიაგრამა 10: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

31 მარტის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 12.2 პროცენტით არის გაუფასურებული, ხოლო 2018 წლის 1 იანვართან შედარებით კი 5.0 პროცენტით. ამავე დროს, თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.7 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 1.6 პროცენტით გამყარებული 2018 წლის იანვართან შედარებით.

მარტის ბოლოს მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საშუალოვადიანი ტრენდიდან 10.6 პროცენტით არის გაუფასურებული, თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლით კურსი არის გამყარებული 0.15 პროცენტით საშუალოვადიანი ტრენდთან შედარებით.

მარტის განმავლობაში არსებული გაუფასურება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელებითა და ნავთობის საერთაშორისო ფასის შემცირებით, რამაც აისახა სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკურ აქტივობაზე, ტურიზმიდან მიღებულს შემოსავალსა და ფულად გზავნილებზე. ამავე დროს, გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე ასევე იმოქმედა ზემოთ აღნიშნული მოვლენების გამო ჩამოყალიბებულმა უარყოფითმა მოლოდნებმა.

*ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება*

| | 31 მარტი, 2020 | 31 მარ 2020 - 1 იან 2019 | 31 მარ 2020 - 1 იან 2018 |
|---|---|---|---|
| ევრო | 3.6363 | ▼ -23.2% | ▼ -28.1% |
| აშშ დოლარი | 3.2845 | ▼ -19.4% | ▼ -27.0% |
| თურქული ლირა | 0.5039 | ▲ 48.9% | ▲ 62.5% |
| რუსული რუბლი | 0.0412 | ▲ 4.3% | ▼ -21.2% |
| ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი | 112.21 | ▼ -12.2% | ▼ -5.0% |
| რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი, 2020) | 117.53 | ▼ -1.7% | ▲ 1.6% |

*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

## ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის გადასახადების იანვარ-მარტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2 801.1 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის იანვარ-მარტის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 6.5 პროცენტით მეტია, რაც 181.8 მლნ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება 2020 წლის მარტს, გადასახადების მარტის საპროგნოზო მაჩვენებელი 1 122.0 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის მარტის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 2.9 პროცენტით მეტია, რაც 32.2 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 320.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (272.0 მლნ ლარი) 117.9%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 274.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (235.0 მლნ ლარი) 116.8%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 409.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (355.0 მლნ ლარი) 115.4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 85.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (86.5 მლნ ლარი) 98.7%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 7.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7.0 მლნ ლარი) 109.0%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 0.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.5 მლნ ლარი) 20.8%-ია. სხვა გადასახადი შეადგენს 56.2 მლნ ლარს.

2020 წლის თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 16.6%-ით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 14.5%-ით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -55.9 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -196 მლნ ლარით.

*დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება*




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

*დიაგრამა 12: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო*

*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი

2020 წლის მარტში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური ემისიით 220 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.162% შეადგინა. გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 60 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.

პორტფელის შემოსავლიანობა შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა 6 თვიან და 12 თვიან სახაზინო ფასიან ქაღალდებზე.

2020 წლის 31 მარტისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 36.6% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (თებერვალი 2.79) შედარებით საგრძნობლად შემცირდა და 1.95 შეადგინა.

*დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი*




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

*დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი*




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

*დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი*




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

*დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით*




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

## კერძო სექტორის დოლარიზაცია

სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 59.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 30 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 45.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 88 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 34.4 პროცენტს.

დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 37.7 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 52.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 25.1 პროცენტს.

მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის მარტის დასაწყისისთვის გაუტოლდა 46.4 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 34.1 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზირების ლარიზაცია - 34.5 პროცენტი.

*დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა*







*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

## სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით 2019 წელთან შედარებით 16.9 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 3.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 24.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 10.9 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 10.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელის ზრდამ 16.9 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის მარტისთვის იპოთეკური სესხების წლიური წინა თვესთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.6 პროცენტი შეადგინა. ხოლო სამომხმარებლო სესხების წლიურმა ზრდამ შეადგინა 10.4 პროცენტი.

## დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის თებერვალში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა -14 პროცენტს.

2020 წლის თებერვალში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 18 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 11 პროცენტს.

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2019 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის შესახებ, 4 სექტემბერს 6.5-დან 7 პროცენტამდე, ხოლო 25 სექტემბერს რიგგარეშე სხდომაზე 7.5 პროცენტამდე. ამავე დროს, მოხდა მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება ოქტომბერშიც. კერძოდ, 23 ოქტომბერს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 1 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 8.5 პროცენტი. ხოლო 11 დეკემბერს განაკვეთი გაიზარდა და გაუტოლდა 9 პროცენტს. 2020 წლის 18 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 9.0%-ზე დატოვების შესახებ. აღნიშნული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავს მიზნად, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის გამკაცრება გაგრძელდება მომავალშიც, ინფლაციაზე გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლის აღმოფხვრამდე.

*დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა*










*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

*დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე*







*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

## საპროცენტო განაკვეთები

2020 წლის მარტისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 8.9 პროცენტს უტოლდება.

2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.8 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.6 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.5 პროცენტს.

2020 წლის თებერვლისთვის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 20.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 25.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.2 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის თებერვლისთვის, 16.7 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.4 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის თებერვლის ბოლოს 12.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7.0 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 12.0 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.3 პროცენტი.

# საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკას.